პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 102 (3586)

1968 წ. 26 მაისი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## ლარსენი თუ პორტიში?

პორეჩი, 25 მაისი. მსოფლიო პირველობაზე ბ. ლარსენისა (დანია) და ლ. პორტიშის (უნგრეთი) მეოთხედფინალური მატჩის IX გადადებული პარტია 78-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

## და მაინც ლარსენი!

პორეჩი, 25 მაისი. ჭადრაკში მსოფლიო პირველობის ნახევარფინალურ მატჩში ბ. სპასკის მეტოქე იქნება ბ. ლარსენი, რომელმაც გადამწყვეტი, X პარტია თეთრებით 28-ე სვლაზე მოუგო ლ. პორტიშს.

ამრიგად, უნგრელ მოჭადრაკესთან მეოთხედფინალურ მატჩში ლარსენმა 5,5 ქულა დააგროვა და გაიმარჯვა. პორტიშს 4,5 ქულა აქვს.

## ვიქტორ კლიმენკოს „ათიანი“

ლენინგრადი, 25 მაისი. ტანმოვარჯიშე ვაჟთა საკავშირო გუნდური პირველობის „ოქროს ლაურეატობა“ შეიარაღებული ძალების სპორტსმენებს ხვდათ, რომელთაც მრავალჭიდის ჯამში 813,3 ქულა დააგროვეს. ვერცხლის პატარა მედლები მოიპოვეს დინამოელებმა — 803,2, ბრინჯაოსი — „ბურევესტნიკის“ წარმომადგენლებმა — 769,65.

გუნდური ბრძოლის კანონმა ჩვენი ტანვარჯიშის „ვარსკვლავები“ ცალკეულ კოლექტივებში გაანაწილა. ამან ხელი ვერ შეუშალა პირად მეტოქეობას, რაც საქმეში ჩახედული ხალხის აზრით, უჩვეულოდ მიმზიდველი იყო. დიდებული კონკურსის ერთ-ერთი მთავარი სოლისტი ბევრისთვის მოულოდნელად გახდა 19 წლის ვ. კლიმენკოც. ხუმრობა ხომ არაა — მოსკოვის არმიელმა, რომელიც სულ ახლახან მხოლოდ იუნიორთა ტურნირებში გამოდიოდა, ახლა II ადგილი დაიკავა თვით მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის მ. ვორონინის შემდეგ — მრავალჭიდის ჯამში სულ ორი მეათედი ქულა წააგო მასთან.

ახლავე ვიტყვით, რომ ვორონინის ოსტატობა ამჯერადაც უზადო იყო. იგი ყველა იარაღზე მართლაც ჩემპიონურად გამოდიოდა — თანაბრად, დამაჯერებლად. მაგრამ კლიმენკო არა მხოლოდ უტოლდებოდა თავის სახელგანთქმულ მეტოქეს მეტისმეტად გაბედული ვარჯიშების შესრულებით, არამედ ორჯერ აჯობა კიდეც მას. ბჯენით ხტომებში (ეს მისი რჩეული სახეობაა) მან გააოცა დარბაზი, როცა იარაღზე ულამაზესი ილეთი შეასრულა 360-გრადუსიანი ბრუნით. ამ კომბინაციისთვის მსაჯებმა პირველად გაიმეტეს მაქსიმალური შეფასება — 10 ქულა. კლიმენკომ ჩემპიონატის სტუმართმოყვარე მასპინძლების დაწესებული პრიზი დაიმსახურა; აღელვებულ ტანმაღალ ჭაბუკს პირველად მისმა მწვრთნელმა კ. კარაკაშიანცმა მიულოცა გამარჯვება, შემდეგ ძმამ, მიხეილ კლიმენკომ. ეს უკანასკნელიც არმიელია და სპორტის ოსტატი. სწორედ მან შეაყვარა ტანვარჯიში ვიქტორს. სხვათა შორის, ძმები გატაცებული არიან ჰოკეით, ფეხბურთით და... თეატრითაც.

... სადღა არიან ვორონინის მუდმივი მოწინააღმდეგეები — ს. დიომიდოვი, ვ. ლისიცკი, ი. ცაპენკო? ისინი კვლავინდებურად მრისხანე მეტოქეებად რჩებიან: გამოცდილება და ოსტატობა ხომ არც ერთს არ აკლია. მრავალჭიდელთა სიაში დიომიდოვი მესამე იყო, ლისიცკი — მეოთხე. მაგრამ ამჯერად მათ მარტო ლიდერის შედეგი კი არ აინტერესებდათ, უკანაც უნდა მიეხედათ. 20 წლის დინამოელი ვ. ილინიხიც კვალში უდგა გამოცდილ ოსტატებს. ამ უკანასკნელმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა თავისუფალ ვარჯიშშიც და ორძელზეც. ღერძზე ვარჯიშის შემდეგ მან შეხედულება შეაცვლევინა ამ იარაღის აღიარებულ „მეფეებსაც“ კი — ბ. შახლინს და პ. სტოლბოვს, რომლებიც ამჯერად პირველად გამოვიდნენ არბიტრების როლში. მსაჯთა კოლეგიამ ილინიხის გამოსვლა თავდაპირველად 9,7 ქულით შეაფასა, მაგრამ მოთათბირების შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა: შეფასებას ერთი მეათედი ქულა მიუმატა. შედეგად ჭაბუკი მრავალჭიდის ჯამში V ადგილზე გავიდა და VI ადგილზე გადასწია გამოცდილი ცაპენკო.

კვირას 18 საუკეთესო მრავალჭიდელი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის სახელისთვის დაიწყებს ბრძოლას.

საუკეთესოთა ექვსეული პირად ჩათვლაში (სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამის ჯამი) ასეთია: 1. მ. ვორონინი („დინამო“, მოსკოვი) — 117,0 ქულა, 2. ვ. კლიმენკო — 116,8, 3. ს. დიომიდოვი — 116,75, 4. ვ. ლისიცკი (სამივე — შეიარაღებული ძალები) — 115,45, 5. ვ. ილინიხი — 114,2, 6. ი. ცაპენკო (ორივე — „დინამო“, მოსკოვი) — 114,1.

(საქინფორმი).

## ფეხბურთელები გაიფიცნენ

პარიზი, 25 მაისი. იმ შენობის თავზე, სადაც იმყოფება საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია (იგი მდებარეობს საფრანგეთის დედაქალაქის არისტოკრატულ უბანში, ორიოდე ნაბიჯზე ვარსკვლავის მოედნიდან), წითელი ალამია აღმართული.

მოყვარულ ფეხბურთელთა ჯგუფმა, მიბაძა რა საფრანგეთის მშრომელთა გაფიცვას, დაიკავა ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის საშტაბო ბინა და ფედერაციის თანამშრომელთა და სპორტულ ჟურნალისტებთან ერთად დააკავა ფედერაციის გენერალური მდივანი პ. დელონე, ამასთან, შენობაზე გამოჰკიდა ლოზუნგი: „ფეხბურთი — ფეხბურთელებს“.

გაფიცვის მონაწილეებმა შექმნეს „ფეხბურთელთა მოქმედების კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარედაც არჩეულია ცნობილი სპორტსმენი და მწვრთნელი ჟიუსტ ფონტენი. ოფიციალურად გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ კომიტეტს განზრახული აქვს ჩაატაროს ვრცელი კონსულტაციები 600 ათას მოყვარულ ფეხბურთელთა შორის იმ მიზნით, რომ მოხდეს ფრანგული ფეხბურთის ორგანიზაციული სისტემის დემოკრატიული რეფორმები.

ეს რეფორმა, განაცხადეს კომიტეტის ხელმძღვანელებმა, უპირველესად ყოვლისა, უნდა დაიწყოს კლუბების რეორგანიზაციით, რომლებსაც უნდა მიეცეს ავტონომია. კერძოდ, საჭიროა გაჯანსაღდეს ხელისუფლების მიერ საფეხბურთო კლუბების დაფინანსებისა და მატერიალური დახმარების ფორმები და გაუქმდეს „მფარველობის“ ყოველგვარი ფორმა „მეცენატების“ მხრივ.

დიახ, სპორტული სამყარო მოიცვა საფრანგეთის მშრომელთა მძლავრმა მოძრაობამ, რომლებიც იბრძვიან თავიანთ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, თავიანთ ქვეყანაში ცხოვრების დემოკრატიზაციისთვის. ყოველდღიურად მოდის ცნობები მრავალრიცხოვან გამოსვლებზე საფრანგეთის სპორტულ ორგანიზაციებში. სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ გაფიცულებს შეუერთდნენ სპორტის ეროვნული ინსტიტუტის სტუდენტები, მასწავლებლები, მომსახურე პერსონალი. მათ დაიკავეს სპორტული შენობები და მოედნები. ინსტიტუტი დახურულია გაურკვეველი დროით.

## ახალი ამბები

● იონჩიოპინგი, 24 მაისი. შვეციის ამ ქალაქის მახლობლად გაიმართა მოტოკროსმენთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება „500-ანების“ კლასში. გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა პ. ფრიდრიქსმა (გდრ). პირველ სერიაში ფრიდრიქსის შემდეგ ფინიშთან მიიჭრა რიგელი ვ. ბრუნსი, მაგრამ მეორე სერიაში იგი უარესად გამოვიდა და საერთო ჩათვლაში V ადგილი დაიკავა. VI ადგილზეა ისევ საბჭოთა მრბოლელი ვ. მატვეევი.

● ბილშტეინი, 24 მაისი. „250-ანების“ კლასში მსოფლიო ჩემპიონატის VI ეტაპის საყურებლად დასავლეთ გერმანიის ამ პატარა ქალაქის მთაგორიან ტრასაზე მოტოკროსის 20 ათასი მოყვარული მოვიდა. ყველას აჯობა ბელგიელმა ჟ. რობერმა, რომელმაც 36 ქულით განიმტკიცა ლიდერობა 6 ეტაპის შემდეგ. II ადგილზეა დაწინაურებული თანამემამულე ჰებერი — 22 ქულა, ხოლო III — შვედი ანდერსონი — 18 ქულა. მოსკოველ ვ. არბეკოვს 8 ქულით VI ადგილი უჭირავს.

● ტარტუ, 24 მაისი. მძლეოსან მრავალჭიდელთა აქ დამთავრებულ საკავშირო შეჯიბრებაში გაიმარჯვეს მ. სიზიაკოვამ (ივანოვო) და ს. შელკოვმა (მოსკოვის ოლქი). სიზიაკოვამ ხუთჭიდში 4733 ქულა დააგროვა (80 მ თარჯრბენი — 11,2; 200 მ რბენა — 25,9; სიგრძეზე ხტომა — 6 მ; სიმაღლეზე ხტომა — 160 სმ; ბირთვის კვრა — 13,25 მ). ათჭიდში შელკოვის შედეგია 7705 ქულა (100 მ რბენა — 11,2; სიგრძეზე ხტომა — 715 სმ; ბირთვის კვრა — 14,75 მ; სიმაღლეზე ხტომა — 180 სმ; 400 მ რბენა — 51,7; 110 მ თარჯრბენი — 15,6; ბადროს ტყორცნა — 47,54 მ; შუბის ტყორცნა — 67,38 მ; ჭოკით ხტომა — 430 სმ; 1500 მ რბენა — 4.37,7).

● ბოლცანო, 24 მაისი. იტალიის ამ ქალაქში გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. კარგად იასპარეზეს რუმინელმა ლია მანოლიუმ, რომელმაც ბადრო 55,32 მეტრზე ტყორცნა და პრაღელმა მოსწავლემ მიროსლავა რეშკოვამ. მან 170 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა დაძლია.

● პარიზი, 25 მაისი. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრიზზე აქ მიმდინარე ტურნირში, რომელიც ქალთა არაოფიციალურ მსოფლიო გუნდურ ჩემპიონატად ითვლება, საბჭოთა ჩოგბურთელებმა დიდხანს ვერ გაავახარეს: მეოთხედფინალში მათ ფარ-ხმალი დაყარეს ინგლისელებთან — 0:3. ერთეულთა შეხვედრებში გ. ბაკშეევამ თითქმის ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ვ. უეიდს — 1:6, 1:6, ხოლო მეორე მოსკოველი — ა. დმიტრიევა მწვავე ბრძოლის შემდეგ დამარცხდა კ. ჯეინსთან — 6:1, 4:6, 7:9. ბაკშეევა — დმიტრიევას წყვილმა წააგო უეიდ — უინის დუეტთან. სხვა მეოთხედფინალური მატჩები ასე დამთავრდა: აშშ — საფრანგეთი 2:1, ავსტრალია — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა 2:1, ჰოლანდია — ბულგარეთი 3:0.

● ლინჩიოპინგი, 25 მაისი. სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრებმა აქ ორი თამაში მოუგო შვეციის ეროვნულ გუნდს — 4:3 და 6:2. პირველ მატჩში, როგორც მასპინძელთა მწვრთნელმა ბ. იანსონმა განაცხადა, შვედებს ასე კარგად არასდროს უთამაშიათ. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი იუჰანსონმა და შესტრანდმა. იმ დღეს 3 ტაიმის შემდეგ შვედები დაწინაურდნენ კიდეც (3:2), მაგრამ ლასკვნით ტაიმში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. როგორც შვეციის ლეპეშათა ბიურო იუწყება, საბჭოთა გუნდში საუკეთესონი იყვნენ ჩიქვანაია, გრიშინი და ჟმუდსკი. გუშინ გამართულ მეორე შეხვედრაში სტუმართა უპირატესობა თავიდანვე აშკარა შეიქნა.

## მეოცე საიუბილეო...

დამთავრდა აჭარის მოსწავლეთა XX საიუბილეო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ველოსპორტი, ფრენბურთი, კალათბურთი და ხელბურთი (მძლეოსანთა შეჯიბრების შედეგებს უკვე ვიტყობინებოდით).

**კალათბურთელ** გოგონათა ასპარეზობის ფინალში ბათუმის ნაკრებმა დაამარცხა ქობულეთის რაიონის გუნდი — 22:16. III ადგილი წილად ხვდათ ქედელ მოსწავლეებს.

დიდი ინტერესი გამოიწვია ჭაბუკთა ფინალურმა ბრძოლამ ქ. ბათუმისა და ქობულეთის რაიონის ნაკრებ გუნდებს შორის. პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ 19:19. შესვენების შემდეგ ანგარიში კიდევ ხუთჯერ იყო საყაიმო, ბოლოს კი ბათუმელებმა იმარჯვეს — 36:35.

**ფრენბურთსა** და **ხელბურთში** სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ ქ. ბათუმის ჭაბუკთა და გოგონათა გუნდები.

აჭარის გზატკეცილზე ჩატარდა ველოსიპედისტთა პირველობა. 25 კილომეტრზე ჭაბუკთა რბოლის ფინიშთან პირველი მიიჭრა ვ. ვლასენკო, 50-კილომეტრიან გუნდურ რბოლაში ყველას აჯობეს ქობულეთის რაიონის წარმომადგენლებმა.

საინტერესო გამოდგა **ფეხბურთელთა** შეჯიბრება. უძლიერესის სახელი მოიხვეჭა ქ. ბათუმის გუნდმა, რომელმაც 10 შესაძლებლიდან 9 ქულა მოაგროვა. მომდევნო ადგილებზე არიან ქობულეთისა და ქედის რაიონების ნორჩი ფეხბურთელები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში 14 საჯარიმო ქულით I ადგილზე გავიდა ქ. ბათუმის ნაკრები. II ადგილზეა ქობულეთის რაიონი (29 ქულა), III — ბათუმის რაიონი (45 ქულა).

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

• • •

სურათზე: ქობულეთისა და ბათუმის რაიონების ფრენბურთელთა გუნდების თამაშის მომენტი.

ფოტო პ. ქებაბჩიანისა.



## სსრ კავშირი — იუგოსლავია 3:0

მოსკოვი, 25 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღვისის თასზე სსრ კავშირი — იუგოსლავიის მატჩის წყვილთა შეხვედრაშიც მასპინძლებმა იმარჯვეს: ა. მეტრეველმა და ს. ლიხაჩოვმა დაამარცხეს ბ. იოვანოვიჩი და ჟ. ფრანულოვიჩი — 6:2, 11:9, 8:6. ანგარიში გახდა 3:0 საბჭოთა ჩოგბურთელების სასარგებლოდ. დარჩენილი ორი შეხვედრის შედეგის მიუხედავად, საბჭოთა სპორტსმენები გათამაშების შემდეგ წრეში გავიდნენ.

ჯ. მნუქიძე.

**ჩოგბურთი**

## თასი — „მილანს“

როტერდამი, 24 მაისი. გუშინ აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალურმა მატჩმა ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ იტალიის „მილანი“ და გფრ-ის „ჰამბურგერ შპორტფერაინი“.

63 ათასი მაყურებელი უაღრესად მწვავე და საინტერესო თამაშის მოწმე გახდა. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს იტალიელებმა, რომლებმაც დაისაკუთრეს ეს საპატიო პრიზი.

ორივე გოლის ავტორია ჰამრინი (მე-3 და მე-18 წ.).

აღსანიშნავია, რომ „მილანმა“ ნახევარფინალშიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი — მიუნჰენის „ბაიერნი“ დაამარცხა (2:0, 0:0).

# დაძაბულობამ იმატა

ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 11 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ნ. ალექსანდრია — 8 ქულა, ტ. ზატულოვსკაია (ბაქო) — 7,5, ა. ჩაიკოვსკაია, ქ. სკეგინა (მოსკოვის ოლქი), ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი) — 7-7, ც. კობაიძე — 6,5 (1), ე. კაკაბაძე — 6,5.

XI ტური. რაძიკოვსკა (პოლონეთი) — ხუბულური 1:0, ვერეცი (უნგრეთი) — ვრეკენი (ჰოლანდია) 0,5:0,5, ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია) — სანაძე 0,5:0,5, ზატულოვსკაია — პოლიქრონიადე 0,5:0,5, ხუგაშვილი — ალექსანდრია 0,5:0,5, სკეგინა — ჩაიკოვსკაია 0:1, კაკაბაძე — ნიუნშერტი (გადაიდო), კახაბრიშვილი — კობაიძე (არ შედგა კახაბრიშვილის ავადმყოფობის გამო).

ბუნებრივია, რომ საერთო ყურადღებას ლიდერთა შეხვედრები იპყრობს. მაშინ, როცა ალექსანდრიას პარტიაში მწვავე ბრძოლა გაჩაღდა, პოლიქრონიადე და ზატულოვსკაია ვერ ბედავდნენ პოზიციისთვის „ცეცხლის წაკიდებას“.

ხუგაშვილმა წარმატებით მოიგერია ლიდერის იერიში და ბრძოლა ენდშპილში განაგრძო. ალექსანდრია აქაც დაჟინებით ეძებდა მოგების გზას. თამაში ძალიან გამარტივდა, მაგრამ სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი მაინც არ ეშვებოდა მეტოქეს. ბრძოლისთვის განკუთვნილი 5 საათი რომ ამოიწურა, მოჭადრაკეები მხოლოდ მაშინ დაზავდნენ.

ესპანური პარტიის გაცვლითმა სისტემამ ზატულოვსკაიას ოდნავი ტერიტორიული უპირატესობა მისცა. ფიგურების მანევრებმა დიდი დრო მოითხოვა, მაგრამ პოზიციაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. 27 სვლას მეტოქეებმა 4 საათი და 45 წუთი მოანდომეს. ზატულოვსკაიამ და პოლიქრონიადემ მხოლოდ ცაიტნოტში აიღეს ხელი თამაშის გაგრძელებაზე.

სკეგინას გამარჯვება განაღდებული ჩანდა, როცა იგი ცაიტნოტში მოექცა, რამდენიმე სუსტი სვლა გააკეთა და ბოლოს ამ პოზიციაში პაიკს დახარბდა:

ჩაიკოვსკაია



სკეგინა

33. მ:d6? (ეს შეცდომაა. აუცილებელი იყო 33. h3) 33. ... მc3! (შესანიშნავია. მოუგერებელია მუქარა მe2+) 34. h3 მe2+ 35. ე:e2 ლf1+ 36. მფh2 ლ:e2 37. მc4 ლf2 (ენდშპილი ადვილად მოიგება, ამიტომ ლაზიერების გაცვლა სასურველია) 38. ლc7+ ეf7 39. ლe5 ლf4+ და აქ სკეგინას საათზე ალამი ჩამოუვარდა, თუმცა პარტია მაინც წაგებული აქვს.

— ვერ ვეგუები მყარი პოზიციური სტილის მოჭადრაკეებს. ჩაიკოვსკაიასთან ხომ ხშირად ვაგებ, — თქვა სკეგინამ.

ერეტოვას და ვერეცის მოგების შანსის მიღება სურდათ, მაგრამ სანაძემ და ვრეკენმა მალე გაუქარწყლეს მათ იმედი. ეს ვერ შეძლო ხუბულურმა, რომელსაც პოლონელი რაძიკოვსკა შეუპოვრად ეთამაშა ცენტრში.

კაკაბაძე ჩვეული ენერგიით უტევდა ნიუნშერტს. პაიკის მოგების შემდეგ მან უპირატესობის რეალიზება დაიწყო, მაგრამ თამაშისთვის განკუთვნილი დრო მალე ამოიწურა და პარტიაც დაუმთავრებელი დარჩა.

გადადებული და გამოტოვებული პარტიების დამთავრება. VI ტურის: ვრეკენი — ნიუნშერტი 0,5:0,5, X ტურის: კაკაბაძე — ნიუნშერტი 1:0, კახაბრიშვილი — კობაიძე (გადაიდო).

თ. გიორგაძე.

ჭადრაკი




## გაიმარჯვეს თბილისელებმა

„განთიადის“ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მოზარდთა I რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მოჭადრაკეთა გუნდური შეჯიბრება. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისისა და ცხაკაიას გუნდებმა.

I ადგილი დაიკავა თბილისის ნაკრებმა (ი. ჩეჩელიანი, მ. აივაზიშვილი, გ. ტორჩიანი, ვ. ვეფხიშვილი, გ. სიხარულიძე, რ. შარაშენიძე, თ. კაპარავა, ნ. ბალიშვილი), რომელსაც დასკვნითი მატჩის წინ გამარჯვება უკვე განაღდებული ჰქონდა.

II ადგილს ერთმანეთს ეცილებოდნენ ქუთაისისა და აჭარის მოჭადრაკეები. ქუთაისელებმა დაამარცხეს აფხაზეთის გუნდი—4,5:3,5, ხოლო მათმა მეტოქეებმა — ცხაკაიის ნაკრები — 5:3. ქულებში ამ სხვაობამ აჭარის წარმომადგენლები გაიყვანა წინ. III ადგილზე ქუთაისელები დარჩნენ.

ცალკეულ დაფებზე ყველას აჯობეს: დარეჯან გამყრელიძემ და სერან ჩეჩელიანმა, რომლებმაც ორივე შეხვედრა მოიგეს.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

ჭადრაკი

# ჰ. არნშტეინი — უნივერსიტეტის ჩემპიონი

თითქმის მთელ თვეს გასტანა თბილისის უნივერსიტეტის მოჭადრაკეთა ღია პირველობამ, რომელიც ამ უმაღლესი სასწავლებლის 50 წლისთავს მიეძღვნა. ტურნირში მონაწილეობდა 12 ოსტატი, ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი.

ჩემპიონობა დაისაკუთრა ეკონომიური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების IV კურსის სტუდენტმა, ოსტატობის კანდიდატმა ჰ. არნშტეინმა — 9 ქულა. შეჯიბრება დაუმარცხებლად მხოლოდ მან დაამთავრა.

II ადგილი ხვდა ოსტატ ი. ჩიქოვანს — 8,5, III-V ადგილები გაიყვეს ოსტატმა თ. კიკიანმა, ოსტატობის კანდიდატმა ა. ლიპარტელიანმა და თ. ჯახუტაშვილმა — 7,5-7,5. ასპირანტმა ჯახუტაშვილმა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა. VI ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი ჯ. მუკნიაშვილი — 6.

ა. ჯღარკავა,

პირველობის მთავარი მსაჯი.



# მაყურებელმა რა დააშავა?!

რეგბი. სპორტის ეს საინტერესო, ვაჟკაცური სახეობა სსრ კავშირში საფუძვლიანად დამკვიდრდა. საბჭოთა სპორტსმენებმა (მათ შორის, თბილისის გუნდებმაც) საერთაშორისო ტურნირებშიც სცადეს ძალა და წარმატება მოიპოვეს. სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ რეგბის პოპულარიზაციისა და შემდგომი განვითარების მიზნით შარშანწინ უძლიერესი გუნდების საკავშირო ტურნირი გამართა, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა თავიანთი ჩემპიონატები ჩაატარეს, წლეულს კი, აგვისტოში საკავშირო პირველობაც მოეწყობა.

სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში მონაწილეობის უფლება რესპუბლიკურ ტურნირებში გამარჯვებულ გუნდებს ექნებათ. საქართველოს მორიგი ჩემპიონატი ამას წინათ გაიმართა. ჩვენ ამ შეჯიბრების შედეგები უკვე გაგაცანით. ვწერდით იმასაც, რომ გათამაშებამ უძლიერესი ვერ გამოავლინა — თბილისის „ლოკომოტივსა“ და „დინამოს“ საბოლოოდ ერთნაირი ქულები დაუგროვდათ და მათ შორის დამატებითი მატჩის გამართვა გახდა აუცილებელი.

17 მაისს საქართველოს სპორტკავშირიდან „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ საბჭოებს აცნობეს დამატებითი მატჩი 21 მაისს „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება. განცხადება „ლელოშიც“ გამოქვეყნდა, ქალაქში აფიშები გააკრეს.

ბუნებრივია, რესპუბლიკის ორი უძლიერესი კოლექტივის გადამწყვეტმა მატჩმა მრავალრიცხოვანი მაყურებელი მიიზიდა. ისინი საინტერესო ბრძოლას ელოდნენ, მაგრამ... მაყურებელი, მოსკოვიდან საგანგებოდ მოწვეული საკავშირო კატეგორიის მსაჯი ნ. ბარინოვი და დინამოელები ამაოდ ელოდნენ რკინიგზელ რეგბისტებს.

როგორც გამოირკვა, „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობამ გუნდის წევრებს თავი ვერ მოუყარა (!), მატჩი ჩაიშალა. „ლოკომოტივს“ წაგება მიესაჯა. მაგრამ მაყურებელმა რა დააშავა?

ვფიქრობთ, ეს ამბავი რეგბის ფედერაციისა და საქართველოს სპორტკავშირის მსჯელობის საგანი გახდება.

## ✦ ონი

გაიმართა რაიონის მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. გუნდური გამარჯვება მოიპოვა ონის 1-მა საშუალო სკოლამ. II ადგილზეა ონის მე-2 საშუალო სკოლის, ხოლო III — სოფელ ღების საშუალო სკოლის კოლექტივი. ასპარეზობამ გამოავლინა ნიჭიერი მოჭიდავეები: რ. ბალაძე, მ. ჩიკვილაძე, ა. ლებანიძე, რ. ლობჟანიძე, ს. გუგეშაშვილი, ს. მეტრეველი, გ. მაისურაძე, თ. ჩიკვილაძე და სხვ.

დ. ხაჩიაშვილი.

## ✦ წალენჯიხა

ჯვარის ზონაში დამთავრდა მოსწავლეთა V რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფეხბურთში. პირველობა არავის დაუთმეს ჭალის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა, რომლებმაც ყველა მეტოქე დაამარცხეს.

ა. ქუხილავა.

ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

# გათამაშების ცხრილები

„ა“ კლასი, I ჯგუფი

### ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 26 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 9 | 6 | 3 | 0 | 17—6 | 15 |
| „დინამო“ (კიევი) | 10 | 5 | 5 | 0 | 13—5 | 15 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 9 | 5 | 3 | 1 | 9—3 | 13 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 9 | 4 | 3 | 2 | 12—6 | 11 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 9 | 4 | 3 | 2 | 11—7 | 11 |
| „დინამო“ (თბილისი) | 9 | 4 | 3 | 2 | 8—4 | 11 |
| „ნეფტჩი“ (ბაქო) | 9 | 4 | 2 | 3 | 8—3 | 10 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 9 | 3 | 4 | 2 | 10—10 | 10 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 9 | 3 | 4 | 2 | 7—8 | 10 |
| „დინამო“ (მინსკი) | 9 | 3 | 3 | 3 | 7—5 | 9 |
| ცსკა | 9 | 2 | 5 | 2 | 8—7 | 9 |
| „ზარია“ (ლუგანსკი) | 10 | 3 | 3 | 4 | 6—12 | 9 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 9 | 1 | 6 | 2 | 7—10 | 8 |
| „არარატი“ (ერევანი) | 9 | 2 | 3 | 4 | 8—8 | 7 |
| ასკ (როსტოვი) | 9 | 2 | 3 | 4 | 11—15 | 7 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 10 | 2 | 3 | 5 | 6—10 | 7 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 10 | 2 | 3 | 5 | 9—15 | 7 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 9 | 2 | 1 | 6 | 6—12 | 5 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 9 | 1 | 3 | 5 | 4—12 | 5 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 9 | 0 | 5 | 4 | 6—15 | 5 |

### სათადარიგო შემადგენლობანი

მდგომარეობა 25 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 10 | 8 | 1 | 1 | 25—4 | 17 |
| „დინამო“ (თბილისი) | 9 | 6 | 3 | 0 | 15—5 | 15 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 9 | 5 | 3 | 1 | 17—5 | 13 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 10 | 6 | 1 | 3 | 13—6 | 13 |
| „დინამო“ (მინსკი) | 9 | 6 | 1 | 2 | 12—5 | 13 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 9 | 6 | 0 | 3 | 13—9 | 12 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 9 | 4 | 3 | 2 | 12—6 | 11 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 10 | 4 | 3 | 3 | 15—16 | 11 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 9 | 3 | 4 | 2 | 13—7 | 10 |
| „ზარია“ (ლუგანსკი) | 10 | 4 | 2 | 4 | 11—14 | 10 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 9 | 3 | 3 | 3 | 16—14 | 9 |
| „ნეფტჩი“ (ბაქო) | 9 | 4 | 1 | 4 | 12—13 | 9 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 9 | 4 | 1 | 4 | 13—19 | 9 |
| ასკ (როსტოვი) | 9 | 1 | 5 | 3 | 10—12 | 7 |
| „არარატი“ (ერევანი) | 9 | 2 | 2 | 5 | 13—24 | 6 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 9 | 1 | 3 | 5 | 10—13 | 5 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 9 | 2 | 1 | 6 | 8—20 | 5 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 9 | 1 | 2 | 6 | 8—20 | 4 |
| ცსკა | 9 | 0 | 3 | 6 | 3—15 | 3 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 9 | 0 | 2 | 7 | 5—17 | 2 |

„ა“ კლასი, II ჯგუფი

III ქვეჯგუფი

### ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 25 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 9 | 6 | 2 | 1 | 11—5 | 14 |
| „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) | 9 | 5 | 3 | 1 | 13—8 | 13 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 9 | 4 | 4 | 1 | 9—6 | 12 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 9 | 3 | 4 | 2 | 11—8 | 10 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 8 | 3 | 4 | 1 | 4—1 | 10 |
| „თერგი“ (გროზნო) | 8 | 4 | 2 | 2 | 9—7 | 10 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 8 | 2 | 5 | 1 | 5—2 | 9 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 8 | 3 | 3 | 2 | 6—4 | 9 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 8 | 3 | 2 | 3 | 10—5 | 8 |
| „ტორპედო“ (ტაგანროგი) | 8 | 3 | 2 | 3 | 8—6 | 8 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 9 | 1 | 6 | 2 | 9—9 | 8 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 8 | 3 | 2 | 3 | 4—4 | 8 |
| „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) | 9 | 2 | 4 | 3 | 7—10 | 8 |
| „ზვეზდა“ (პერმი) | 9 | 3 | 2 | 4 | 5—9 | 8 |
| „ზენიტი“ (იჟევსკი) | 9 | 2 | 4 | 3 | 5—9 | 8 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 8 | 2 | 3 | 3 | 5—6 | 7 |
| „სტროიტელი“ (უფა) | 9 | 1 | 5 | 3 | 10—13 | 7 |
| „ვოლგა“ (ულიანოვსკი) | 9 | 3 | 0 | 6 | 11—13 | 6 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 9 | 1 | 4 | 4 | 6—12 | 6 |
| „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) | 8 | 1 | 3 | 4 | 6—9 | 5 |
| „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) | 9 | 1 | 3 | 5 | 6—17 | 5 |

### ჭაბუკთა მოსამზადებელი გუნდების შეჯიბრება

მდგომარეობა 23 მაისისათვის

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| განათლების გან-ბა (თბილისი) | 7 | 6 | 1 | 0 | 16—3 | 13 |
| ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბ.) | 6 | 6 | 0 | 0 | 17—0 | 12 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 6 | 6 | 0 | 0 | 17—1 | 12 |
| „დინამო“ (თბილისი) | 7 | 5 | 2 | 0 | 18—3 | 12 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 7 | 5 | 2 | 0 | 15—2 | 12 |
| მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) | 7 | 3 | 2 | 2 | 7—4 | 8 |
| „ქარიშხალა“ (თბილისი) | 7 | 1 | 2 | 4 | 8—14 | 4 |
| „დილა“ (გორი) | 7 | 1 | 0 | 6 | 2—10 | 2 |
| „კახეთი“ (თელავი) | 7 | 0 | 2 | 5 | 4—17 | 2 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 7 | 0 | 2 | 5 | 8—30 | 2 |
| „შრ. რეზერვები“ (თბილისი) | 7 | 0 | 1 | 6 | 0—10 | 1 |
| „სპარტაკი“ (ცხინვალი) | 7 | 0 | 0 | 7 | 0—18 | 0 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახალგ. საფეხბ. სკოლა (გაგრა) | 7 | 5 | 2 | 0 | 15—5 | 12 |
| „მაღაროელი“ (ჭიათურა) | 6 | 5 | 0 | 1 | 11—6 | 10 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 6 | 4 | 0 | 2 | 14—3 | 8 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 6 | 3 | 2 | 1 | 8—7 | 8 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 6 | 3 | 1 | 2 | 5—4 | 7 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 6 | 3 | 0 | 3 | 17—6 | 6 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 7 | 2 | 2 | 3 | 13—12 | 6 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 6 | 2 | 2 | 2 | 10—9 | 6 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 7 | 3 | 0 | 4 | 5—5 | 6 |
| „ენგური“ (ზუგდიდი) | 6 | 0 | 1 | 5 | 4—24 | 1 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 7 | 0 | 0 | 7 | 1—20 | 0 |

ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა







# საპატიო მედალი

1917 1967

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად ბერლინში მოეწყო საერთაშორისო ფოტოგამოფენა „ადამიანის ბედნიერებაზე". ამ გამოფენაზე 84 ქვეყნის წარმომადგენელთა 28 ათასი ნამუშევარი გაიგზავნა, რომელთაგან სხვადასხვა განყოფილებისთვის შეირჩა 770 ფოტო.

ბერლინში თავისი ნამუშევრები გაგზავნა გაზეთ „სოფლის ცხოვრების" ფოტორეპორტიორმა გ. გაბუნიამაც. ამ დღეებში საგამოფენო კომიტეტისგან მოვიდა ბარათი, რომელშიც გამოფენის ორგანიზატორები ქართველ ფოტორეპორტიორს მადლობას უხდიან ამ დათვალიერებაში მონაწილეობისა და კარგი ნამუშევრებისთვის. გაბუნიამ ამ ბარათთან ერთად საპატიო მედალიც მიიღო.

საგამოფენო კომიტეტის წერილში აღნიშნულია, რომ გამოფენას დიდი მოწონება ხვდა. მარტო ბერლინში იგი 83 ათასმა კაცმა ნახა. ფოტოგრაფთა ნამუშევრებმა ასეთივე ინტერესი გამოიწვია დრეზდენსა და სხვა ქალაქებში.

გთავაზობთ გ. გაბუნიას ნამუშევრებს, რომლებმაც ბერლინში მოწონება დაიმსახურეს: 1. „ბედნიერი სიჭაბუკე"; 2. „ბაზალეთის ტბაზე"; 3. „დუეტი".

# არც ისე უხვი მოსავალი

ვარშავა, 25 მაისი. გუშინ აქ დამთავრდა მშვიდობის ველორბოლა, რომელიც 16 დღეს გრძელდებოდა. 100 ათასი მაყურებელი ესალმებოდა ამ პოპულარული ასპარეზობის გმირებს, ახლა ოცდამეერთედ რომ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს — პირად ჩათვლაში გამარჯვებულ ა. პეშელს (გდრ) და პოლონეთის ნაკრებს, რომელმაც გუნდური პირველობა მოიპოვა. პეშელის შედეგია 57:46.00.

პირად ჩათვლაში მეორე პრიზიორია ჩეხოსლოვაკიელი კ. ვავრა—57:46.16, მესამე — პოლონელი ი. მაგერა — 57:46.54.

საბჭოთა ველოსიპედისტებიდან საუკეთესო იყო გუნდის კაპიტანი და ვეტერანი, სოჭელი გ. საიდხუჟინი, რომელმაც საერთო IV ადგილი დაიკავა — 57:47.06.

გუნდურ ასპარეზობაში II ადგილზეა გდრ-ის ნაკრები, III — ჩეხოსლოვაკიისა.

საბჭოთა მრბოლელების კოლექტივი მეხუთე იყო. ერთი სიტყვით, მოსავალი არც ისე უხვია. შეიძლება მხოლოდ იმით დავიმშვიდოთ თავი, რომ ტალინელმა პ. იიფერტმა შეჯიბრების ყველაზე აქტიური მონაწილის ტიტული მიიღო.

დღეს ველორბოლის მონაწილეები ორ ნახევარეტაპს გადიოდნენ. მათ ჯერ დროზე შეჯიბრება ჩაატარეს — პულავიდან რადომამდე. ეს 49-კილომეტრიანი ტრასა (სტარტი დაყოფილი იყო) მოიგო პოლონელმა მაგერამ—1:09.57. მეორე იყო პეშელი, მესამე — იიფერტი.

ამის შემდეგ საერთო ჩათვლაში ლიდერობა პეშელმა იგდო ხელთ — 54:52.06. საიდხუჟინი მეათე აღმოჩნდა და II ადგილიდან მეთხუთმეტეზე გადაინაცვლა.

ნახევარ ეტაპზე გუნდური გამარჯვება პოლონელებს ხვდათ — 3:39.47. სსრ კავშირის გუნდმა მეოთხე შედეგი აჩვენა (3:49.09), მაგრამ საერთო V ადგილზე დარჩა.

ბოლო გამოცდის წინ ლიდერები — პოლონელი სპორტსმენები გდრ-ის ნაკრებს დაახლოებით 8 წუთს უგებდნენ, სსრ კავშირის გუნდს კი... ნახევარ საათს. ნათელი იყო, რომ საბჭოთა ველოსიპედისტებს გუნდურ ასპარეზობაში გამარჯვების არავითარი შანსი არ ჰქონდათ. იმედად პირადი შეჯიბრება-ლა რჩებოდათ, უფრო კი ის, რომ იიფერტი ველორბოლის ყველაზე აქტიური მონაწილის ტიტულს დაისაკუთრებდა.

და აი, ბოლო გამოცდა — 123-კილომეტრიანი ჯგუფური რბოლა რადომიდან ვარშავამდე.

ფინიშთან პირველი მივიდა გდრ-ის სპორტსმენი კ. ამპლერი — 2:52.07. საბჭოთა მრბოლელთაგან საუკეთესო, გორკელი ა. კულიბინი მეცხრე იყო — 2:53.54.

ბოლო გამოცდა და შედეგებიც გამოაცხადეს. საბჭოთა გუნდის მწვრთნელმა ვ. ვერშინინმა საკდესის კორესპონდენტს უთხრა:

„ველორბოლა რთულ პირობებში ტარდებოდა. ცივი ამინდი იყო: წვიმა მხოლოდ ბოლო სამ ეტაპზე არ გვიშლიდა ხელს. ყველა სპორტსმენი გაცივდა, მათ შორის, ჩვენებიც. საუკეთესო საბჭოთა მრბოლელმა ვ. ჩერკასოვმა, რომელიც პირად ჩათვლაში ლიდერობდა, ტრასა ავადმყოფობის გამო დატოვა (დიდი სიცხე ჰქონდა). ახლა იგი ვარშავის საავადმყოფოში წევს. გუნდს ექიმი არ ჰყავდა და ამან შედეგებზეც იქონია გავლენა.

პოლონეთისა და ჩვენი გუნდების შედეგებში განსხვავება (დაახლოებით 20 წუთი) იმით აიხსნება, რომ საბჭოთა გუნდს რბოლის დასაწყისში გამოაკლდა რ. კალნენიეკსი, რომლისაც დიდი იმედი გვქონდა, შემდეგ კი შეჯიბრება დატოვა ჩერკასოვმა. ძალიან ცუდად იყო მომზადებული ვ. ურბანოვიჩი. პრაქტიკულად საბჭოთა გუნდი 3_4 კაცის შემადგენლობით იბრძოდა".

# ლიდერი უცვლელია

სამტრედია, 24 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ერთდღიანი შესვენების შემდეგ გაიმართა საქართველოს მრავალდღიანი ველორბოლის V ეტაპი ბათუმი — სამტრედია (115 კმ). ველომრბოლელებმა ჯერ კიდევ ქალაქის ქუჩებში უმატეს ტემპს: ბევრ მათგანს სურდა მოწყვეტოდა ძირითად ჯგუფს, მაგრამ ტრასა მეტად რთული იყო.

და მაინც, ძირითად ჯგუფს გამოეყო 9 სპორტსმენი, რომლებიც 36-ე კილომეტრზე დანარჩენებს 2 წუთსა და 15 წამს უგებდნენ. ესენი იყვნენ ვ. პეტრინი, ვ. ფეტისოვი (ორივე — „დინამო"), ვ. კეხბა, შ. დაიაური (ორივე — „სპარტაკი"), ა. მოგუსევი, ვ. სიდანოვი (ორივე — „კოლმეურნე"), ს. გრიშკევიჩი, ი. კრასავცევი (ორივე — „განთიადი") და ბურევესტნიკელი ვ. აბშილავა. ეს ავანგარდი საგრძნობლად დაწინაურდა და ბოლოს განსხვავებამ 3 წუთსა და 20 წამს მიაღწია. ამ პერიოდში ძალზე აქტიურობდნენ „ბურევესტნიკის" ველომრბოლელები, რომლებიც ცდილობდნენ დაკარგული ლიდერობის დაბრუნებას.

... წინწასულებს კიდევ 2 ბურევესტნიკელი (ო. სუჯიაშვილი და ა. ჩერნოუსოვი) გამოუდგა. 91-ე კილომეტრის შემდეგ ავანგარდი ძირითად ჯგუფს 5 წუთს უგებდა. მე-100 კილომეტრზე საბურავმა უმტყუნა აბშილავას, რომელმაც წინა ეტაპის მსგავსად დაშვებული საბურავით 5 კმ იარა. სამწუხაროდ, მწვრთნელები და, განსაკუთრებით, ტექნიკური პერსონალი, ვერ ასწრებენ დახმარების დროულ აღმოჩენას, ვინაიდან ძალიან ხშირია გაუთვალისწინებელი ტექნიკური „ავარიები". ამ მხრივ სხვებზე უფრო მეტად არიან დაზარალებული დინამოელები და ბურევესტნიკელები (დაშვებული თვლით იარა კეხბამაც).

ფინიში ამ შედარებით ილბლიანმა შვიდეულმა გაითამაშა. ლიდერობს კრასავცევი, რომელმაც პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი სამტრედიაში. მისი დროა 3:01.00. მეორე იყო სიდანოვი, მესამე — დაიაური (ორივეს — 3:02.30). გუნდურ ჩათვლაში ეტაპი მოიგეს სპარტაკელებმა — 9:12.50. II ადგილზეა „კოლმეურნე" — 9:14.20, III — „განთიადი" — 9:15.50.

5 ეტაპის ჯამში ლიდერობას კრასავცევი ინარჩუნებს — 15:17.01. II ადგილზეა დაიაური — 15:22.24, III — აბშილავა — 15:28.00. გუნდურ ჩათვლაში წინ არიან განთიადელები — 46:34.53, II ადგილზე — ბურევესტნიკელები — 46:42.21, III — „კოლმეურნის" ველომრბოლელები — 46:44.02.

**ა. ჭიჭინაძე,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# მოტოესტაფეტა საზღვარს უახლოვდება

**უჟგოროდი**, 24 მაისი. დღეს ფაშისტი დამპყრობლებისგან ჩეხოსლოვაკიის გათავისუფლების 23 წლისთავისადმი მიძღვნილმა მეგობრობისა და მშვიდობის ტრადიციულმა მოტოესტაფეტამ კარპატის მწვერვალები გადალახა და ბოლოსწინა ეტაპზე გავიდა.

მოტოესტაფეტის მონაწილეები უჟგოროდს ჩავიდნენ. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, სადაც ლენინის ძეგლია აღმართული, უჟგოროდისა და მახლობელი სოფლის ათასობით მცხოვრებმა მოიყარა თავი. მიტინგზე ორი სოციალისტური ქვეყნის ძმურ მეგობრობასა და ერთიანობაზე ლაპარაკობდნენ ფაშისტური უღლისგან ჩეხოსლოვაკიის გათავისუფლების მონაწილე, უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი ი. კულაგინი და სამკერვალო ფაბრიკის მუშა კ. სილადი.

მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად მოიწონეს სსრ კავშირის მშრომელთა მიმართვა ჩეხოსლოვაკიელი ხალხისადმი.

ხვალ მოტოესტაფეტა საზღვარზე შეხვდება მოტოკოლონას, რომელმაც სტარტი პრაღაში აიღო. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მისი პროფესია — ტრამვაის თრევა

როგორც დასავლეთგერმანულ ჟურნალ „ბუნტე ილიუსტრირტეში" გამოქვეყნებული სურათი მოწმობს, 27 წლის ბელგიელი ჯონ მასისი უჩვეულო „სპორტის" მოყვარულია.

აი, რას გვიამბობენ მისი „ასპარეზობის" მნახველები:

„ჯონმა კბილები ჩაავლო გვარლზე დამაგრებულ კვანძს. გვარლი ვიოლინოს სიმივით დაიჭიმა, მაგრამ ტრამვაი ადგილიდან არ იძვროდა. თავდაპირველად გვეგონებოდათ, არაფერი გამოდისო. შემდეგ ბორბლები დატრიალდა და ვაგონი ლიანდაგს გაჰყვა".

მაშ ასე, ბელგიელმა მასისმა „განუმეორებელი რეკორდი" დაამყარა: სამ მეტრზე კბილებით ათრია ტრამვაის 15-ტონიანი ვაგონი, რომელშიც ათი მგზავრი იჯდა. ეს „რეკორდი" ნეაპოლში დამყარდა.

დავუმატებთ, რომ პრესის ცნობით, მასისმა უკვე მიიქცია კბილის პასტის მწარმოებელი ერთ-ერთი მსხვილი ფირმის ყურადღება. მასისის „სპორტი" სარფიანი ჩანს.

## ე. ერერა გადადგა

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიტყობინებოდით, იტალიის ცნობილი საფეხბურთო კლუბის „ინტერნაციონალეს" მთავარ მწვრთნელად დანიშნულია ა. ფონი. ძველი მწვრთნელი ელენიო ერერა გადადგა.

ე. ერერას გადადგომა დაკავშირებულია იმასთან, რომ „ინტერნაციონალეს" პრეზიდენტმა მორატიმ დატოვა თავისი პოსტი, მორატი კი ერერას პირველი მფარველი იყო.

„ინტერნაციონალეს" კონტრაქტი ერერასთან თავდება 30 ივნისს, მაგრამ მწვრთნელი და კლუბი უკვე დაშორდნენ ერთმანეთს. დადის ხმები, რომ ერერამ მიიღო მადრიდის „ატლეტიკოს" წინადადება სათავეში ჩაუდგეს ამ კლუბს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.




## ორი სერიის შემდეგ

ვაქვეყნებთ კონკურსის იმ მონაწილეთა გვარებს, რომელთაც „სპორტული უნივერსიტეტის" 2 სერიის ჯამში დააგროვეს:

**20 ქულა** ი. და ლ. ადამაშვილები, ჯ. ამაშუკელი, ჯ. ბაშელეიშვილი, მ. ბახტაძე, ჯ. გოშაძე, ნ. ელერდაშვილი, რ. თავაძე, გ. კაკაურიძე, რ. კაპანაძე, ა. კეკელიძე, თ. ლებანიძე, გ. ლორთქიფანიძე, ზ. მაკარიძე, ი. მამისთვალოვი, ჯ. მარქარიანი, დ. ნაცვლიშვილი, ბ. ტაბიძე, ა. ტაკიძე, ა. ფაჩუაშვილი, ჯ. ღვინიაშვილი, გ. ძიძიგური, გ. ხარაზიშვილი, მ. ხაჭაპურიძე, ჯ. ხუციბერიძე, დ. ჯავახიძე, გ. ჯანბერიძე, ფ. ჯანყარაშვილი (ყველა — თბილისი), ი. ბუზიაშვილი, ა. მელქაძე, ზ. შალამბერიძე, დ. ჩიკვაშვილი, დ. ჯანაშვილი (ყველა — ქუთაისი), ე. ჯიჯიაშვილი (გარდაბნის რ., სოფ. შინდისი).

**19 ქულა** თ. ახალაია, გ. ახალაძე, ნ. ბაქრაძე, ს. ბახია, ა. ბესიაშვილი, ლ. გოგოლაური, მ. დონდუა, გ. ედილაშვილი, პ. თათენაშვილი, ჯ. თხელიძე, რ. იდოიძე, რ. კემულარია, მ. კვირიკაშვილი, თ. ლოლომაძე, მ. მამისთვალოვი, ნ. მასტიაშვილი, კ. მეხხი, შ. მექვაბიშვილი, ს. მეყანწიშვილი, რ. მიქაშავიძე, ჯ. მჭედლიშვილი, გ. ნინიძე, კ. ოდიკაძე, ვ. ოსკანოვი, ნ. ურიდია, ვ. ქარქუსაშვილი, ნ. ქურიძე, თ. ღვინეფაძე, გ. ჩეკურიშვილი, ჯ. ძაგანია, ვ. ხვიტია, გ. ჯაფარიძე (ყველა — თბილისი), თ. ალფაიძე, მ. სოფრომაძე, მ. შალამბერიძე, ე. ხიმშიაშვილი (ყველა — ქუთაისი), გ. ახრახაძე, შ. ბიბილეიშვილი (ორივე — წყალტუბო), ვ. ბელელაძე (ზესტაფონი), ა. ლოლუა (ზუგდიდი), გ. ბიძინაშვილი (რუსთავი), გ. გუბელიძე (ქობულეთი), ე. ძაგნიძე (ვანის რ., სოფ. სალხინო), ნ. ტოროტაძე (სიმფეროპოლი), მ. ბიბილაშვილი (გარდაბნის რ., ორხევის დასახლება), მ. გოგიძე (სოფ. გლდანი).

**18 ქულა** მ. ანთაძე, ბ. ასათიანი, ნ. ასათიანი, ვ. ბერუაშვილი, თ. ბუცხრიკიძე, ა. გურასაშვილი, მ. დათუაშვილი, ზ. ეკიზაშვილი, მ. ზაქარაია, გ. კვაჭაძე, ბ. კვირიკაშვილი, კ. კობახიძე, ნ. მგელაძე, ტ. მღვდელაძე, ი. მჭედლიშვილი, ნ. ნაჭყებია, გ. პაპიაშვილი, ი. პაროშინი, გ. ფოცხვერაშვილი, ზ. ქალიაშვილი, ო. ქარქაშაძე, ვ. ღლონტი, მ. შავდია, თ. ჩიქვანაია, ნ. წერეთელი, ი. ხაინდრავა, დ. ხიდეშელი, ა. ჯანჯალია, ვ. ჯორჯაძე, (ყველა — თბილისი), გ. აბურჯანია, ბ. ბასილაია (ორივე — ფოთი), ზ. ანიკაშვილი (გორი), ნ. გიგოლაშვილი, რ. ჯანაშვილი (ორივე — რუსთავი), ზ. გურგენიძე (საგარეჯოს რ., სოფ. ჩაილური), ი. გელოვანი, ჯ. ვაშაკიძე, გ. მელქაძე (ყველა — სამტრედია), ა. დარჩია, ჯ. დიასამიძე, თ. ელბაქიძე, თ. კობახიძე, თ. მჟავანაძე (ყველა — ბათუმი), ვ. ზენაიშვილი, გ. ლაბაძე, რ. ჟღენტი, ვ. სირბილაძე, დ. ფაჩუაშვილი, მ. ჯავახაძე (ყველა — ქუთაისი), ა. მელაძე (აბაშის რ., სოფ. ეწერი), ს. ხაჟომია (სოხუმი).

**17 ქულა** შ. ბაზიაშვილი, მ. გვაზავა, გ. გორგოძე, მ. მანია, რ. მელიქიძე, თ. სიხარულიძე, პ. ქურდობაძე, დ. შაქარაშვილი, ა. ხაბაზი, გ. ხახიაური, ბ. ხერხეულიძე, პ. ხერხეულიძე, უ. ხუნდაძე, ვ. ჯანჯღავა (ყველა — თბილისი), ვ. არდაზიშვილი, ლ. გონჯილაშვილი (ორივე — თიანეთი), ა. ბალავაძე (რუსთავი), ნ. გიგიტელაშვილი, ნ. გაუარაშვილი, ზ. წიკლაური (ყველა — თელავი), ჯ. გოგია, ნ. მაქაცარია (ორივე — ზუგდიდი), ა. დავითაძე, თ. თხილაიშვილი (ორივე — ბათუმი), ვ. თუზბაია, ნ. წურწუმია (ორივე — სოხუმი), დ. კვლიშვილი, ე. ლაზარაშვილი (ორივე — გორი), გ. მამულაშვილი (მცხეთა), ჰ. მღებროვი (ლენინგორი), ჰ. ტეხაშვილი (სურამი), ჯ. ფირცხალაიშვილი (ლანჩხუთი), მ. ქვრივიშვილი (ბორჯომი), ბ. ხომერიკი (მახარაძის რ., სოფ. ლიხაური), ს. ხიმშიაშვილი (ჭიათურა), რ. შარია, თ. აქუბარდია, უ. დგებუაძე (ყველა — ოჩამჩირე), ი. ჭაჭაშვილი (აზერბაიჯანის სსრ, სოფ. ალიბეგლო).

**16 ქულა** ი. კაკუბავა, გ. კუდუხოვი, ა. კუხიანიძე, ო. ნარმანია, ზ. ნერგაძე, ზ. ქუთათელაძე (ყველა — თბილისი), თ. გელაშვილი (რუსთავი), ნ. თუზბაია (ზუგდიდის რ., სოფ. ახალკახათი), გ. კაჭარავა (ბათუმი), რ. კუპატაძე (თელავი), დ. ლეკიშვილი (გარდაბნის რ., სოფ. მარტყოფი), რ. სეფიაშვილი (ქუთაისი).

## მესამე სერია

1. რომელ წელს დაწესდა სსრ კავშირის საპატიო სპორტის ოსტატის წოდება და პირველად როდის მიენიჭათ ეს წოდება სპორტსმენებს?
2. დაასახელეთ ქალაქი, რომლის ერთ-ერთი ქუჩაც ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის სახელს ატარებს. რომელ სახელმწიფოშია იგი?
3. რომელ ოლიმპიურ თამაშებში გამოიყენეს ავტომატური წამმზომები?
4. წლების მიხედვით თანმიმდევრობით დაასახელეთ ჭადრაკში მსოფლიოს ყველა ჩემპიონი ვაჟთა შორის. როდის გაიმართა პირველი არაოფიციალური მატჩი ჭადრაკში ვაჟთა მსოფლიო პირველობაზე?
5. დაასახელეთ სპორტულ თამაშობათა სახეობები, რომლებშიც მსოფლიო ჩემპიონატები არ ტარდება. შესაბამისად, რა შეჯიბრებები ცვლიან მათ?
6. რომელ წელს დამთავრდა ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშებისთვის განკუთვნილი ოლიმპიური სოფლისა და ოლიმპიური ცენტრალური სტადიონის მშენებლობა?
7. პირველად როდის და რა შედეგებით იასპარეზეს საბჭოთა მძლეოსნებმა ევროპის პირველობაზე?
8. რომელი კონტინენტები ატარებენ თავიანთ ოლიმპიადებს და რომელი წლიდან?
9. რამდენ ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ე. გრიშინმა (მოსკოვი)?
10. ვინ არიან აღბეჭდილი ამ სურათზე?



მესამე სერიის კითხვებზე პასუხების გამოგზავნის ბოლო ვადაა 5 ივნისი (იგულისხმება საფოსტო განყოფილების შტემპელი).

პასუხები გამოგზავნეთ შემდეგი მისამართით: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14. „ლელოს" რედაქცია, „სპორტული უნივერსიტეტი-68".

კონკურსის მონაწილეთ ვთხოვთ, პასუხებს სახელსა და გვართან ერთად მიაწერონ თავიანთი მისამართი; კონვერტში ჩადონ ჩვენი გაზეთიდან ამოჭრილი მხოლოდ სპეციალური შესაბამისი კუპონი-3, რომელიც კითხვების სერიას ერთვის (წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხები არ იქნება რეგისტრირებული და განხილული).

**კუპონი 3**

## დღეს

### თბილისის იპოდრომზე — დიდი ასპარეზობა

მონაწილეობენ მოსკოვის, ხარკოვის, ყაზანისა და კუიბიშევის იპოდრომების რუსული და ორლოვის ჯიშის ცხენები.

მაყურებელს თავიანთ ოსტატობას უჩვენებენ ცნობილი მოსკოველი მხედრები ე. კრაშენინიკოვი და ი. პოპელნუხა, ხარკოველები ი. კონსტანტინოვი და ვ. კაპუსნიკი, ყაზანელები ზ. ხაბიბულინი, ნ. გრიშინი და სხვ.

გათამაშდება დიდი პრიზები, მათ შორის, „სეზონის გახსნის პრიზი", „მოსკოვის ცენტრალური იპოდრომის პრიზი", „ხარკოვის იპოდრომის პრიზი", გაზეთ „სოფლის ცხოვრების" პრიზი და სხვ.

იმუშავებს ტოტალიზატორი. დასაწყისი 16 საათზე.



საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის საცურაო აუზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ) დამატებით გაიხსნა და მთელი კვირის განმავლობაში იმუშავებენ

**ფასიანი საააბონემენტო ჯგუფები ცურვაში.**

სამეცადინოდ დაიშვებიან ისინი, ვისაც გავლილი აქვს სათანადო სამედიცინო შემოწმება.

აბონემენტები იყიდება ყოველდღე 9 საათიდან. ცნობებისთვის მიმართეთ დირექციას: ტელეფონი 22-61-00.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 03260